№ 76 — 1877—1899 — № 76

ხუთშაბათი, 8 აპრილი, 1899 წ.

# ივერია

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

ხუთშაბათი, 8 აპრილი, 1899 წ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**ტფილისის სასოფლო-სამეურნეო საურთიერთო კრედიტის საზოგადოების** გამგეობა ამითი აცხადებს, რომ ბ-ნმა ფინანსთა მინისტრმა დაამტკიცა ამა საზოგადოების საბჭოს შუამდგომლობა, რომლითაც, წესდების მე-17 §-ის შესაბამისად საზოგადოებას შემდეგი უფლებანი ეძლევა:

პუნქტი **9.** მიიბაროს საზოგადოების წევრთა, გარეშეთა და დაწესებულებათაგან ფული სარგებლის მლევით, როგორც უვადოდ, ისე ვადითი და მიმდინარე ანგარიშით, სხვა-და-სხვა პირობით, ისე-კი, რომ ბილეთი ანუ მოწმობა ფულის პატრონთ მხოლოდ სახელდებული მიეცეთ, უფლება არა ჰქონდეთ სხვაზედ გარდაცემისა და ას მანეთისაზედ ნაკლებისა არ იყოს.

შენიშვნა. თუ ვინიცობაა საზოგადოებამ მოსპო მოქმედება, საზოგადოების წევრთ მათ მიერ შეტანილი ფული დაუბრუნდებათ მხოლოდ მაშინ, როდესაც გარეშეთაგან შეტანილი ფული ექნება სავსებით გარდახდილი.

პუნ. **10.** დააგირავოს საკუთარი სარგებლიანი ქაღალდები (სახელმწიფო ანუ მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილი) სხვა საკრედიტო დაწესებულებაში და გადააგირავოს ის სარგებლიანი ქაღალდები, რომელიც საზოგადოებას გირაოდ აქვს აღებული კერძო კაცთაგან, პატრონთა ნება-ყოფლობით, ხოლო ისე-კი, რომ გადაგირავებულ იქმნას იმ ფულზედ არა მეტად, რამდენიც თითონ აქვს საზოგადოებას იმ გირაოზედ მიცემული.

პუნ. **11.** გადააგირავოს სხვა საკრედიტო დაწესებულებაში, პატრონთა ნება-ყოფლობით, გირაოდ მიღებული საქონელი და სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოები, ისე-კი, რომ გადაგირავებულ იქმნას იმ ფულზედ არა მეტად, რამდენიც თითონ საზოგადოებასა აქვს იმ გირაოზედ მიცემული სესხი, და იმ პირობის დაცვით, რომელიც დადგენილია „საკრედიტო წესდების“ (1893 წ. გამოც. კანონთა კრებულის მე-XI ტ., მეორე ნაწ.) მეათე გამყოფილების მე-10 მუხლში. (3—6.—2)

**ჩვეულებრივი წლიური კრება ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა**

დანიშნულია 21 აპრილს, ოთხშაბათს, დილის თერთმეტ საათზე, სოფელ კუხს, ამხანაგობის სამმართველოში.

განსახილველია შემდეგი საგნები: 1) დამტკიცება 1898 წლის ამხანაგობის წლიურის ანგარიშისა; 2) მიღება მთავრობის სანიმუშო წესდების თანაბრად შემუშავებულ ახალის წესდებისა; 3) არჩევა ამხანაგობის მდივნისა; 4) ნებართვა ამხანაგობის მმართველისადმი ამხანაგობის ალებ-მიცემობისათვის საჭირო სესხის აღებისათვის და 5) მოხსენება ამხანაგობის მმართველისა, თუ როგორ დაუახლოვდეს უფრო მეტად ამხანაგობა ერთის მხრით ჩვენებურ მეაბრეშუმეებს და მეორეს—საზღვარგარეთელ მუშტრებს. (10—6.—3)

**პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. საცოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ფ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი**—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

**ა. ზ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** 1¼—2¼ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

სადამოობით:

**გ. მ. მახვილაძე.**—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

**ა. ნ. შპაკოვსკი**—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

**ბ. ა. ნავასარდიანი**—6½7 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ.)

**მთავრობის განკარგულებანი.**

მიწათ-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის განკარგულებით დანიშნულ იქმნა თავადი ავალიშვილი უფროს გამმიჯვნელათ 23 თებერვლიდგან.

## ახალი ამბავი

*** როგორც შევიტყეთ, ქართულს დრამატიულს საზოგადოებას განზრახვა აქვს რუსეთის დიდებულის პოეტის პუშკინის საიუბილეოდ ქართული წარმოდგენა გამართოს, რომლის დროსაც ქართველს საზოგადოებას გააცნობს ამ მწერალის ზოგიერთს ნაწარმოებს. ამ წარმოდგენის შემოსავალი გადადებული იქნება განსვენებულის პუშკინის სახელის სახსოვარ საყოფელად.

*** გუშინ, 7 მარტს, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში დაიწყო გუბერნიის თავად-აზნაურობის კრება გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლის თან. ადმასრ. გენერალ-მაიორის საგინოვის თავმჯდომარეობით. კრებას, როგორც ვუწყით, რამდენიმე ფრიად საყურადღებო საგანი აქვს განსახილველი. პირველად კრება შეუდგა ტფილისის სადგილ-მამულო ბანკისათვის წარმომადგენელთა არჩევანს. კრებამ, მცირეოდენ მოლაპარაკების შემდეგ, დაადგინა: თითოეულმა მაზრამ ცალკე ამოირჩიოს წარმომადგენლები. პირველად არჩევანს შეუდგნენ ტფილისის მაზრის თავად-აზნაურობის წარმომადგენლებისას. ტფილისის მაზრის რწმუნებულთა ამოსარჩევად შეიკრიბა 18 ხმის მქონე თავად-აზნაური და ამორჩეულ იქმნენ: 1) ბარათაშვილი დ. ი. გ., 2) ჯამბაკურ-ორბელიანი თ. გ. ი., 3) არღუთინსკი-დოლგორუკი თ. ნ. ვ, 4) ისარლოვი მ. პ., 5) ქართველოვი გ. გ., 6) ბებუთოვი თ. ა. ი., 7) ზავრიევი ზ. ს., 8) ჩერქეზიშვილი თ. ვ. ნ., 9) სუმბათაშვილი თ. ა. მ., 10) ჯომარჯიძე, თ. გ., 11)

---

## ფელეტონი

**სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი**

„ეგრე მტრისა არ მეშინის,
რადგან ცხადად მაწყინაროზს;
მოყვარესა—მტერსა ვუფრთხი,
მემოყვრება, მოცინაროზს“...
რუსთაველი

დასასრული *)

### XII

სახელი და პატივი ბ-ნს გოლმსტრემს, რომ სომხებისათვის, ვითარცა ჩაგრულ და დევნულ ერისათვის, გულმტკივნეულობს და ამისათვის მას იღებს საქვეყნოდ და უშიშარად. არც ჩვენა ვართ ისეთნი უგულონი, რომ არ ვიგრძნოთ სხვისა ტკივილნი, სხვისა ხოცვა-ჟლეტა, დარბევა და დაწიოკება და არ ვიცოდეთ ფასი და ღირსება ადამიანისა, როცა უბედურთათვის იღვწის და, თუ ხელს არა, ხმას მაინც აწვდის ნუგეშინისცემისას, სიყვარულისას. ჩვენ ისიც ვიცით, რომ მარტო გულ-წმინდად მიცემული ნუგეში, მარტო გულწმინდად გზად და ხიდად გადებული სიყვარულია იგი უზენაესი მადლი, რომელიც კაცს აღიყვანს „მაღალსა მას მთასა წმიდასა, სადა ჰგალობენ ანგელოზნი ღვთისა დიდებას“.

ვწუხვართ, რომ საქმემ და სიმართლემ მოითხოვა ბ-ნი გოლმსტრემი სომეხთა მეცნიერთა მწკრივში ჩაგვეყენებინა, მისი ნებითი, თუ უნებლიეთი შეცდომა გულახდილად გვემხილებინა და ჩვენი გაოცება გვეთქვა. ნეტა რამ, რისთვის დააწერინა იგი ისტორია, რომელიც მარტო სომეხთა ფილოსოფოსებისა და დელლინგერების საკადრისია და მარტო იმათს თონეში ცხვება.

გვიკვირს, თუ ბ-ნ გოლმსტრემს არ წაუკითხავს იგი წერილი ბ-ნ ნიკოლსკისა, რომელიც ჩვენ წინა წერილების სხოლიოში დავასახელეთ, ბ-ნ ანუჩინის წერილი ხომ უსათუოდ წაუკითხნია, რადგანაც ამბობს, რომ ბ-ნი ანუჩინი წინააღმდეგია იმ თეორიისა, რომელიც ურარტელებს ჰხადის სომხების წინაპრებადო და ეს მარტო იმას მოასწავებს, რომ ბ-ნი ანუჩინი მიუდგომელი მეცნიერიაო და ამისთვის აქებს კიდეც. აქ ორი გარემოებაა საოცარი. ჯერ ერთი ისა, ვითომც ქვეყანაზე იყოს იმისთანა თეორია, რომ ურარტელთა სომხობას ამტკიცებდეს. თუ არ არის ამისთანა თეორია, მაშ ბ-ნ გოლმსტრემის სიტყვა საქარეზე გატანილი სიტყვაა, როცა გვარწმუნებს, რომ ბ ნი ანუჩინი ამ თეორიის წინააღმდეგიაო. ამაოდ ჰფიქრობს ბ-ნი გოლმსტრემი არსებობას ამისთანა თეორიისას: იგი არსად არის და ბ-ნი ანუჩინი არ-არსებულის თეორიის წინააღმდეგი როგორ იქნება? ბ-ნი ანუჩინი მოცლილი კაცი ხომ არ არის სომეხთა მეცნიერებსავით, რომ ქარის წისქვილებს ომი დაუწყოს.

კიდევ ვიტყვით, დღეს მთელს ქვეყანაზე ერთიც მართლა სწავლული და მეცნიერი არ მოიპოვება,—სანთლითაც რომ ვეძებოთ,—ურარტელთა სომხობის თეორიას მისდევდეს, გარდა იმისთანა ჩურუქა მეცნიერებისა, როგორც ვილაცა ეზოვები და მისნი დამქაშები არიან. ამათაც-კი არა გვგონია გაბედონ ამ არ-არსებულის თეორიის ღაღადება თავისის სახელით და, იქნება, სხვა გააბრიყვონ, თვითონ-კი სოროში შეძვრნენ და ამ სახით სხვისის ხელით ნარი ჰგლიჯონ. ეს იმათი ხელობაა.

ბ-ნი ანუჩინი თუ ურარტელთა არა-სომხობას ამბობს, ამას ვისიმე წინააღმდეგად-კი არ ამბობს, არამედ ამით ემოწმება ყველას, ვისაც ეს საქმე გამოუძიებია. ვიწვევთ ბ-ნს გოლმსტრემს, თუნდ ერთი სწავლული და მეცნიერი ან ევროპიელი, ან რუსი დაგვისახელოს იმ თეორიის მომხრედ, რომელსაც ვითომც ბ-ნი ანუჩინი ეწინააღდეგება და რომელსაც დღეს ასე თავ-შეუდებლად მარტო ბ-ნი გოლმსტრემი ჰღაღადებს, დიაღ, მარტო ბ-ნი გოლმსტრემი და სხვა არავინ.

თუნდ ეს ორი ერთმანეთის წინააღმდეგი თეორია არსებობდეს, ნეტა რა ნიშანია მიუდგომელობისა, მიუკერძებლობისა ურარტელთა არა-სომხობის თეორია, რომლის გამო ქებასაც-კი უძღვნის ბ-ნ ანუჩინს ბ-ნი გოლმსტრემი. ნუ თუ აქაც ახია ითქვას: „სიტყვამან შენმან გამოგაჩინოს შენ“.

მეორე გარემოება ის არის, რომ ასე ვრცლად არის ბ-ნ ნიკოლსკის მოწმობა ბ-ნ გოლმსტრემის მიერ მოთხრობილი საბუთად ურარტელთა და სომეხთა ვითომდა ერთ-ნათესაობისა და ბ-ნი ანუჩინი-კი მარტო სამის სიტყვით უხსენებია, ისიც ბუნდად,—ამ თეორიის წინააღმდეგიაო. ყური არ უთხოვებია, რომ ბ-ნი ანუჩინი ანტროპოლოგიურადაც ამტკიცებს, რომ სომეხნი არმენიაში, წინანდელ ურარტის ქვეყანაში მერე მოსულნი არიან [1]). გარდა ამისა იგივე ბ-ნი ანუჩინი იმოწმება, რომ იგი ქვეყანა დაიპყრეს სომხებმა დიდის ბრძოლის და ომების შემდეგ ურარტელებთანაო. არის რამოდენიმე საბუთები, რომლის ძალითაც შესაძლოა ვიგულვოთ, რომ ურარტელნი, ანუ პონტიის ქალდები [2]) ქართველთა მამა-პაპანი ყოფილანო. [3])

დალოცვილს, რაკი ესე ვრცლად მოგვითხრობდა ურარტელთა სომხობას და ისიც უსაბუთოდ, ერთი სიტყვა, თუნდ ესე მოკლედ, როგორც აქ არის ბ-ნ ანუჩინის ნათქვამი მოყვანილი, ჩვენთვისაც გამოემეტნა, ურარტელთა ქართველობა გაკვრით მაინც მოეხსენებინა. განა ვინ დაემდურებოდა? თუ ბ-ნ ნიკოლსკის მოწმობა, მერე სულ მთლად თავით ბოლომდე გადასხვაფერებული, საჭირო იყო ურარტელთა გასომხებისათვის, ქართველთა ასე თუ ისე დასაბუთებული ურარტელობა ბ-ნ ანუჩინისა რატომ დაჰვიწყებია და ჩაუ-

*) იხ. „ივერია“ № 75.

[1]) იხ. „Братская помощь Армянамъ“, გვ. 358.

[2]) რა რიგადა ჰგავს ერთმანეთს სახელი ქალდები და ქართლები!

[3]) იხ. „Братская помощь Армянамъ“ გვ. 361. აი სიტყვითი-სიტყვა ბ-ნ ანუჩინისა: Такимъ образомъ армянамъ удалось лишь послѣ долгой и упорной борьбы съ племенемъ Урарту или Понтiйскими халдами,—племенемъ, языкъ котораго еще не выясненъ, но есть нѣкоторыя основанiя предполагать въ нихъ прародичей Картвельскаго или грузинскаго племени“.

გურამიშვილი თ. დ. ა., 12) ენიკოლოფოვი დ. ა., 13) ყორღანოვი ი. ს., 14) ბაგრატიონ-მუხრანსკი თ. დ. ი., 15) ჩერქეზიშვილი თ. ს. ი., 16) მალალაშვილი გ. გ., 17) საგინაშვილი რ. ი., 18) ყავრიშვილი ნ. ი.

გორის მაზრაში: ხმის მქონე იყო 39, და ამორჩეულ იქმნენ: 1) ბაგრატიონ-დავიდოვი თ. გ. ა., 2) ამირეჯიბი თ. მ. ქ., 3) ერისთავი თ. ნ. ბ., 4) ვეზირიშვილი თ. გ. დ., 5) ქურული გ. დ., 6) ყიფიანი პ. ი., 7) სულხანიშვილი ი. დ., 8) თარხან-მოურავი თ. ი. რ., 9) ერისთავი თ. კ. ა., 10) ფურცელაძე კ. ლ., 11) ამირეჯიბი თ. კ. მ., 12) მამაცაშვილი ზ. ი., 13) ამირეჯიბი თ. რ. თ., 14) მაჩაბელი თ. ვ. გ., 15) ერისთავი თ. რ. შ., 16) ალექსი-მესხიშვილი ნ. ი., 17) ამირეჯიბი თ. ს. ს., 18) მუსხელიშვილი დ. ი., 19) პაპიტაშვილი გ. ნ., 20) განძიელი გ. ს., 21) ციციშვილი თ. დ., დ., 22) ფავლენიშვილი ვ. ი., 23) აბაზაძე ა. ლ., 24) ფურცელაძე ქ. ს., 25) მირზაშვილი ა. ნ., 26) მაჩაბელი მ. ვ., 27) აბაზაძე ნ. ლ., 28) ციციშვილი თ. ნ. ი., 29) ვეზირიშვილი თ. ს. ნ., 30) დიასამიძე, თ. გ. ნ., 31) ერისთავი თ. მ. რ., 32) ამილახვარი თ. დ. ლ., 33) ტარსაიძე გ. ა., 34) ჯავახიშვილი თ. ა. ი., კანდიდატებად: 1) ყიფიანი კ. დ., 2) ამილახვარი თ. ა. ი., 3) ერისთავი თ. ა. გ., 4) ნაცვლიშვილი დ. მ., 5) ანანიაშვილი ა. დ., 6) კალატოზიშვილი ა. ა.

*** როგორც ტფილისის ვაჟთა მესამე გიმნაზიის წლიურის ანგარიშიდგანა სჩანს, ამ მიმდინარე სამოსწავლო წელს გიმნაზიაში სულ 628 მოწაფე ყოფილა. მათ შორის ქართველია 67, რუსი 107, სომეხი 398, თათარი 3, ებრაელი 25 და დანარჩენ გვაროვნობისა 27.

*** ტფილისის გუბერნიის ქალაქის საქმეთა საკრებულო მომავალ კრებაზედ, როგორც შევიტყვეთ, განიხილავს ტფილისის ქალაქის საჩივარს მოქალაქეთა დეპუტატების, მამასახლისის, იმის თანაშემწის და კანდიდატის არჩევანების უკანონობის შესახებ.

*** გუშინდელ სხდომაზედ ქალაქის გამგეობამ განიხილა მოხსენება თავადის არღუთინსკისა, რომელიც თხოულობდა ქალაქის მეფარნეების დაჯილდოვებას, თუ ვინიცობაა რომელიმე მათგანი ავად გახდება. გამგეობამ დაადგინა მიენდოს თავადს ჩერქეზიშვილს და ა. მ. არღუთინსკის გამოიკვლიონ, რამდენი დაენიშნოს ხოლმე საზოგადოდ გამგეობაში მოსამსახურეთ და კერძოდ მეფარნეებს ზემოდ დასახელებულ შემთხვევაშიო.

*** ნ. ა. სუნდუკიანცის ადგილას, რომელიც ქალაქის ქიმიურ ლაბორატორიის უფროსის თანაშემწე იყო და რომელმაც თავი დაანება ამ სამსახურს, ა. ახუმოვი დაუნიშნავთ.

*** 1 აპრილს ქალაქის გამგეობამ განიხილა შუამდგომლობა „აღმზრდელ და მასწავლებელ ქალთა დამხმარებელ საზოგადოებისა“, რომელიც სთხოვდა ქალაქს: პოლიციის მეათე ნაწილში უსასყიდლოდ დაგვითმეთ მიწა მოხუცებულ აღმზრდელ და მასწავლებელთა თავშესაფარის ასაგებადო. გამგეობამ დაადგინა: თავისის მხრივ იშუამდგომლოს ქალაქის საბჭოს წინაშე, რომ ხსენებულ საზოგადოების თხოვნა შეწყნარებულ იქმნას და დაეთმოს 200 ოთხ-კუთხი საჟენი მიწა.

*** ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა დაამტკიცა ქალაქის გამგეობისაგან დაწესებული ნიხრი გამომცხვარის პურისა. ამ ნიხრით პირველი ხარისხის ფურნის პური ღირს 4 კაპ., მეორე ხარისხისა $3^1/_4$ კ., მესამე ხარისხისა $2^3/_4$ კ. თორნის პური პირველი ხარისხისა ღირს $4^1/_2$ კ., მეორე ხარისხისა $3^3/_4$ კ. და სხვა. ეს ყველა კარგი, მაგრამ სად იშოვოს წვრილმანმა მხმარებელმა, მაგალითად, თუნდ იმან, ვისაც 1,2 ან 3 გირვანქა უნდა იყიდოს, ეს „ჩეთები“ და „პოლუშკები“, როდესაც არსად არ მოიპოვება? განა ისევ ძველებური ნიხრი არ გამოდის? სწორეთ ამ ნაკლისა გამო ბ. გუბერნატორის მოადგილეს წინადადება მიუცია ქალაქის მოურავისათვის დაუყონებლივ გადასინჯულ-გასწორებულ იქნეს ეს ახალი ნიხრი.

*** კავკასიის საფილოქსერო კომიტეტმა, აგრონომის თავ. ანდრონიკაშვილის მოხსენებისამებრ, დაადგინა: შემოდგომაზედ კავკასიის სხვა-და სხვა ადგილებში გამართოს მეღვინეთა და მევენახეთა კრებები და დაავალა აგრონომს ანდრონიკაშვილს დასახელებულ კრებათათვის სამოქმედო პროგრამმის შედგენა.

*** ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი თავ. ბაგრატიონ-მუხრანსკი ტფილისიდგან ბაქოში წავიდა.

*** ხვალ, რვა აპრილს, თავადაზნაურთა თეატრში გამართულ იქნება რუსული წარმოდგენა საქველმოქმედო აზრით. ამ წარმოდგენაში, სხვათა შორის, მონაწილეობას მიიღებს ჩვენი ცნობილი არტისტი ალექსი-მესხიშვილი. წმინდა შემოსავალი მოხმარდება ავჭალის სახალხო აუდიტორია-სცენის მოწყობა-შეკეთებასა.

*** რუსეთის სატეხნოლოგიო საზოგადოების ბაქოს განყოფილებამ, მოისმინა რა მოხსენება ინჟენერის კ. ი. ხატისოვისა კავკასიაში პოლიტეხნიკუმის დაარსების შესახებ, გარდასწყვიტა: იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე პოლიტეხნიკუმის დასაარსებლად, რომელსაც ორი განყოფილება უნდა ჰქონდეს: სამთო და სასოფლო-სამეურნეო. („ახალ. მიმოხ.“)

*** გაზ. „კავკ.“ სიტყვით, ამ მოკლე ხანში ტფილისს ეწვევა სპარსეთის შაჰის მემკვიდრე შოა-ეს-სულთანი, რომელიც ამ ჟამათ საზღვარ-გარეთ მოგზაურობს, და აქედგან სპარსეთში დაბრუნდება.

*** როგორც „ტფ. ფურ.“-ი იუწყება, უწმ. სინოდს წარედგინა პროექტი ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდის კანტორის მოხელეების რიცხვის გამრავლების შესახებ.

*** იმავე გაზეთის სიტყვით, მთავრობას აზრადა აქვს ამიერ-კავკასიის იმ ადგილებში, სადაც მთა-მადნების წარმოებაა, დააწესონ პოლიციის ურიადნიკების ახალი თანამდებობანი.

*** ოზურგეთის სასამართლომ ამას წინად სთხოვა ქალაქის გამგეობას გადადებულ იქმნას მეტი თანხა ამ სასამართლოსთვის ახალის სადგომის დასაქირავებლად და კანცელარიის შესანახად. გუშინ გამგეობამ განიხილა ეს თხოვნა, მაგრამ არ შეიწყნარა.

*** რადგანაც სახლის პატრონები ხშირად სთხოვენ ქალაქის გამგეობას, რომ დაფასების დარჩომილი გარდასახადი ეპატიოთ ხოლმე, გამგეობამ დაადგინა სთხოვოს საბჭოს, რომ ამ საქმეების განსახილველად და გადასაწყვეტად განსაკუთრებული კომისია იქმნას არჩეული.

*** მოსკოვის ქუჩის სახლის პატრონებმა მიჰმართეს ქალაქის გამგეობას და სთხოვეს შეკეთებულ იქმნას წყლის შესამაგრებელი კედელი და გაუქმებული ქმნას დუქნები, რომელნიც ქუჩას ავიწროებენ. ქალაქის გამგეობამ ეს თხოვნა შეიწყნარა და დაადგინა იშუამდგომლოს საბჭოს წინაშე, რომ კედელი შეკეთებულ იქმნას და დუქნები გაუქმებული.

*** მთავარ-მართებლის საბჭოში ამ ახლო მომავალს ლაპარაკი ექმნებათ იმის შესახებ, რომ დაჯილდოვებულ იქმნენ ის მემამულენი, რომელთა მიწას ნაწილებიც ყარსის რკინის გზისათვის იქმნა მიზომილი. სულ, როგორც გამოანგარიშებულია, ამ საქმისათვის გადადებულ უნდა იქმნას 29,000 მანეთამდე.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ბ-ნი კავსამე აღდგომის მესამე დღეს კონცერტის გამართვას აპირებს. ხორო შესდგება 50 კაცისაგან და, სხვათა შორის, იმღერებენ ახალ სიმღერებს.

*** იმპერატრიცა მარიამ ალექსანდრეს ასულის სახელობაზედ დაარსებულ ბრმათა სამზრუნველოს კავკასიის განყოფილების საბჭო გვთხოვს გამოვაცხადოთ განყოფილების წევრთა საყურადღებოთ, რომ პარასკევს, ცხრა აპრილს, ნაშუადღევის პირველ საათზედ გარდახდილ იქმნება პარაკლისი ავლაბარში, იმ ადგილას, სადაც სამირკველი უნდა ჩაჰყარონ ახლად ასაშენებელ ბრმათა სასწავლებლისა. (ფალავანდიშვილისა და კახეთის ქუჩის კუთხეში).

*** 5 აპრილს ქუთაისის გუბერ. გლეხმა დ. ლომთაძემ განაცხადა პოლიციაში, რომ იმავე მაზრის მცხოვრებმა არსენ დალაბერიძემ ძილის დროს კ. გონცაძეს ხარაზის სახელოსნოში დანით დაჰკრა მხარს და მარჯვენა ხელში და დაიმალა.

*** ტფილისის ოლქის სასამართლოს გადაეცა საქმე ყოველ-გვარ უფლება ჩამორთმეულის სერგი ლებედინსკისა და ტფილისის მოქალაქის ილია ლომიძისა, რომელთაც ბრალი ედებათ ალექსი ალექსეევის გაძარცვისა. ალექსეევი წაუყვანიათ ერთ მივარდნილ ქუჩაში, წაუჭერიათ ყელში ხელი და როდესაც გონება დაუკარგავს — გაუძარცვიათ. დამნაშავენი მეტეხის ციხეში სხედან.

## სვეტი-ცხოვლის საკვირაო სკოლის და სახალხოდ საკითხავის დაარსების გამო.

მცხეთის მონასტრის დედათა სკოლის გამგეთა და მასწავლებელ-ქალ-

---

ფარცხებია. რასაკვირველია, თვით ბ-ნ გოლსტრემის საქმეა, — სად რა სთქვას და როგორ, ხოლო ჩვენ-კი ვიტყვით: „საკვირველ არიან, უფალო, საქმენი შენნი“.

ვთქვათ, ისეც იყოს, რომ ურარტელნი სომხები არ ყოფილანო, ბძანებს ბ-ნი გოლსტრემი. ამ საგანს ამ შემთხვევაში არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო. აი სწორედ ამაზე ითქმის: ერიჰა! მაშ რაზედ შეაწუხეთ ბ-ნი ნიკოლსკი, ანუჩინი, რომ თითქმის მთელი ფელეტონი ურარტელთა სომხობის დასაბუთებას მოანდომეთ და სულ ცოტა ვთქვათ, ორიათას-შვიდას-რვაასის წლის ამბავი გაგვიბით და ამ ამბავით ამტკიცებდით სულიერ და ხორციელ სიმტკიცეს და მედგრობას ეხლანდელის სომხებისას, ვითარცა მემკვიდრეებისას სახელოვან ურარტელებისას. მაშ რად ჰღაღადებდა ბ-ნი გოლმსტრემი: „თუ პოვნა გნებავთ ამ საქმის (სომეხთა საქმისა) ჭეშმარიტებისა, პოლიტიკოსებისაგან ფერუმარილ წაუსმელისა, გადაუკეთებელისა, უნდა ყურადღება მიაქციოთ ძველს, ჭაღარა-მოდებულ დროს, არქეოლოგებს და სწავლულ მოგზაურებსაო“.[4]) მაშ ეს სიტყვები ისე საქარეზეა გასტუმრებული! აფსუს, სიტყვებო!..

საოცარია, — რომ ამას ამბობს ბ-ნი გოლმსტრემი, ესე იგი, ის კაცი, რომელმაც თვალი და ყური აუქცია ჭაღარა-მოდებულ ძველ დროსაც, არქეოლოგებსაც, სწავლულთა მოგზაურთაც და იმ ქვათა ღაღადსაც, რომელნიც, მისის სიტყვით, возопіютъ!

„კიდევ ბევრს, ბევრს სხვას ჰღაღადებენ არმენიაში ნაპოვნი ქვებიო“, იძახის დიდის პაფოსით ბ-ნი გოლმსტრემი. მართალია, ბევრს რასმეს ჰღაღადებენ და ვაი რომ იმათს ღაღადს ყურებში ბამბა დაცმული მსმენელი შეჰხვედრია. ბევრს რასმეს ჰღაღადებენ, მხოლოდ მთლად და ხელ-აღებით იმის წინააღმდეგს, რაც ბ-ნს გოლმსტრემს ურარტელთა გასომხებისათვის წამოუღიგებია „Петербургскія Вѣдомост“-ებში. კიდევ ვიწვევთ ბ-ნს გოლმსტრემს: თუ ჩვენ მართალს არ ვამბობთ, აბა ერთი საბუთი, აბა ერთი მართალი სწავლული, მართალი მეცნიერი, აბა ერთი ქვა და მისი ღაღადი წამოგვიყენოს პირში, მაშინ ჩვენ ჩვენს მშვილდს ძირს დავდებთ და ბ-ნ გოლმსტრემის წინაშე ქედს მოვიხრით, ჩვენს შეცდომას შევინანებთ საქვეყნოდ.

სომეხთა ქების განდიდებას ისე გაუტაცნია ბ-ნი გოლმსტრემი, რომ ამის თქმასაც კი შესაძლებელად ჰხადის: „ამ ერმა (სომხობამ) საუკუნეთა განმავლობაში დაამტკიცა თვისი შეურყეველი ერთგულება ქრისტიანულ მართლ-მადიდებელ აღთქმებისაო“. რა თქმა უნდა, ყოველს ერს თავისი სარწმუნოება მართლ-მადიდებელი ჰგონია და ამაში ვერც ვერავინ შეუვა. სარწმუნოება სინიდისის, სასოების საქმეა და აქ ყველა თავისუფალია და ხელშეუხებელი. ხოლო ბაშვმაც-კი იცის, რომ სომხები გრიგორიანები არიან სარწმუნოებით და სულაც არ ეკუთვნიან იმ რჯულს, რომელიც საზოგადოდ რუსეთში და რუსის მწერლობაში საკუთრად მართლ-მადიდებლად წოდებულია. მაშასადამე, ბ-ნის გოლმსტრემის ღაღადი, რომ სომხებმა შეურყეველი ერთგულება აღმოუჩინეს ქრისტიანულ მართლ-მადიდებელს აღთქმებსაო,[5]) არ არის მართალი, იმიტომ-რომ ამ სახელით წოდებულს სარწმუნოებას და, მაშასადამე, აღთქმებსა სომეხნი გაეცალნენ ჯერ კიდევ მეექვსე საუკუნეში და მას აქედ სარწმუნოებით ცალკე გავიდნენ. სად იგი სარწმუნოება, რომელსაც სომხები აღიარებენ და სად იგი, რომელიც მართლ-მადიდებელად წოდებულია რუსეთში და რუსის მწერლობაში!

რასაკვირველია, სომეხთა სარწმუნოებაც ქრისტიანულია და სომეხთ ვერ დავუკარგავთ დიდს ღვაწლს, ქრისტიანობისათვის მათ მიერ დადებულსა. ქრისტიანობისათვის ბევრი რამ გაუწირავთ, ბევრი სისხლი უღვრიათ და მეტი არ იქნება ვთქვათ, რომ ქრისტიანობას ანაცვალეს მათ თითქმის მთელი თვისი ისტორია, თვისი სამეფო, თვისი მამული, თვისი სამშობლო და ამით, თვისდა მართლადა სასახელოდ, შეინახეს თვისი რჯული, ენა და ყოველმა ამან შეანახვინა თვით მათი ვინაობაცა, მათი ეროვნული არსებობა. ვერც ისტორია და ვერც კაცობრიობა ვერ დაივიწყებს სომეხთა ღვაწლს, სომეხთა თავ-განწირვას ქრისტიანობისათვის. ამიტომაც ბ-ნს გოლმსტრემს რომ გაეხსენებინა ეს დიდებული ღვაწლი საერთოდ ქრისტიანობის წინაშე, მართალი იქნებოდა და რაკი შიგ ჩაურთა „მართლ-მადიდებლობა“, ბაღლსაც სიცილს მოჰგვრის, რომ სომხები შეურყეველად ერთგულნი ყოფილან სხვის სარწმუნოებისა და, მაშასადამე, შერყეულნი თვისს საკუთარს სარწმუნოებაში. სარწმუნოება ჭეშმარიტებაა გულისა და ორსახედ არ ჩაესახება ერთსა და იმავე გულს. როგორც ორ-სახე ჭეშმარიტებაა შეუძლებელი, ისეც ორ-სახე სარწმუნოებაც. იგი ან ერთად-ერთია ერთს გულში, ან სულ არ არის. სარწმუნოება, რომლის დიდი ნასკვი ადამიანის სულიერ წიაღშია, ორ-თვალა და ორ-გულა ვერ იქნება, რომ ჩვენიც იყოს და თქვენიც ერთსა და იმავე დროს. იგი ერთ-თვალა და ერთ-გულაა, — თუ ასე ითქმის, ვერც თვალს და ვერც გულს ორად ვერ გაჰყოფს, რომ ერთსაც ჰხედავდეს მართლ-მადიდებელად და მეორესაც, ერთსაც განუზიაროს სასოება გულისა და მეორესაც. ამიტომაც შეურყეველი ერთგულება სხვის სარწმუნოებისა საკუთარის სარწმუნოების შერყევაა, უარ-ყოფაა. თავდადებულნი ერთის სარწმუნოებისათვის, მეორისათვის თავდადებულნი ვერ იქნებიან და ნამეტანად შეურყეველ ერთგულებისანი. კაცი შეურყეველად მოსავია მარტო იმ სარწმუნოებისა, რომელსაც აღიარებს და გულში

---

[4]) აი სიტყვით-სიტყვა ბ-ნ გოლმსტრემისა: „Чтобы найти истину въ этомъ (армянскомъ) вопросѣ не „заправленную“, неподкрашенную политиками... нужно обратить свои взоры къ сѣдой древности, къ археологамъ, къ ученымъ путешественникамъ“... იხ. „Петербургскія Вѣдомости 1899 წ. № 33, ფელეტონი: „И Камни возопіютъ!“.

[5]) აი სიტყვა-სიტყვით ბ-ნის გოლმსტრემის ნათქვამი: „Этотъ народъ (Армянскій) въ теченіи многихъ вѣковъ доказалъ непоколебимую преданность христіанскимъ *православнымъ* (კურსივი ჩვენია) завѣтамъ“. იხ. მისი ფელეტონი: „И Камни возопіютъ“. „Пет. Вѣд.“ 1899 წ. № 33.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა მეცადინეობით სოფ. მცხეთას ერი სახსარი განათლებისა კიდევ მოემატა. 28 მარტს შემთხვევით დავესწარით საკვირაო დედათა სკოლის და სამკითხველოს დაარსებას აქ არსებულს სვეტი-ცხოვლის სკოლის სადგომში. სიამოვნებით აგვევსო გული და სული, როდესაც დავინახეთ სკოლის სადგომი გაჭედილი აქ თავ-მოყრილ ქალთაგან, ეროვნებისა, წოდებისა და წლოვანების განურჩევლად. საზოგადო რიცხვი სწავლის მსურველთა აღემატებოდა 50-ს, რომელთაგანაც 34 ქართველია, 13 სომეხი და 2 ბერძენი; წლოვანებით: 11—20 წლისა—38 ქალია, 20—30 წლისა 9; 30—52 წლისა—4. სწავლება კვირა-უქმე დღეობით ამ სასწავლებელში უსასყიდლოდ უტვირთიათ მცხეთის მონასტრის დედათა სკოლის მასწავლებელ ქალთა: ა. ლ. ასულს ჯორჯაძისას, ს. დ. ასულს ციციშვილისას, ე. დ. ასულს მახათაძისას, ქეთ. ოქროპირიძისა და თ. ი. ფალავანდოვისას. დიდება და პატივი პატიოსანის დაუზარელ შრომისათვის პატიოსან მუშაკთა და მოღვაწეთ!

დღეს სწავლის სარგებლობასა და საზოგადოდ აღზრდის საჭიროების შესახებ დიდი ჩიჩინ-ჭიჭინი საჭირო ლაპარაკისათვის აღარ არის. სკოლა ის დაწესებულებაა, რომელსაც დიდის იმედით შეჰყურებენ ყოველნი ერნი ქვეყნისანი. ამ დედაბოძზეა დამყარებული საქართველოს ხალხის კეთილ-დღეობა. სკოლას შეუძლიან მკვიდრთა საკეთილ-დღეოდ ბევრი სიკეთე დასთესოს, აღმოაცენოს და ნაყოფი გამოაღებინოს. სწავლა-განათლებამ ჩვენი ხალხი გონებით უნდა განავითაროს, ზნეობა აღუმაღლოს, სარწმუნოებრივი გრძნობა გაუღვიძოს და განუმტკიცოს, კეთილდღეობა დაუმყაროს. ყოველი ჩვენის ქვეყნის საზოგადოებრივი დაწესებულება: მეურნეობა, მრეწველობა იმ დრომდე იკოჭლებს, ვიდრე ღონე მოკლებული და უძლური იქნება, ვიდრე ჩვენი ხალხი ამ გონების სიბნელისაგან არ განთავისუფლდება. საუბედუროდ, დიდი უვიცობის უტეხი ტყე უძევს წინ გასაკაფად ყოველს განათლების ასპარეზზედ მოღვაწეს ჩვენში. ეს საზოგადოდ უნდა ითქვას ჩვენის დედათა აღზრდა-განათლების შესახებ, რომლისაგანაც დამოკიდებულია ჩვენ ნორჩ-მომავალთა აღზრდა-მიმართულება, ჩვენის ერისა და ქვეყნის ბედი და უბედობა.

მიზეზი იმისა, რომ ასე ვეგებებით ქალთა საკვირაო სკოლის დაარსებას, უფრო არის ის, რომ საკვირაო სკოლა მისცემს შეძლებას წერა-კითხვის შეძენისას იმათ, რომელთაც ყმაწვილობით ვერ შეუძენიათ.

დიდი მნიშვნელობა ქალთა განათლებისა კარგად იყო შეგნებული ძველად. ჩვენში ძველადგანვე სწავლა-განათლების საქმე ქალების ხელში ყოფილა. შესანიშნავია ის გარემოება, რომ ქრისტიანობა და ქრისტიანული ლიტერატურაც დედაკაცებს დაუწყიათ. გავიხსენოთ წმ. ნინოს ცხოვრების აღწერა სიდონიასა და სალომე უჯარმელისაგან. საქართველოს სახელ-განთქმულნი მეფენი აღზრდილნი იყვნენ დედაკაცებისაგან. მეფე გიორგი II გაიზარდა მისის მამიდის გარდანუხტის მიერ, აგრეთვე დედაკაცისაგან არის აღზრდილი მეფე გიორგი III, მამა თამარ მეფისა და სხ.

სკოლის დაარსებამდე მცხეთის საკრებულო ტაძრის მღვდელმა მ. რუსიშვილმა შეასრულა პარაკლისი, რომლის შემდეგ მიულოცა სკოლის დაარსება მოსწავლეთა და მასწავლებელთ. მამა რუსიშვილმა განუმარტა ხალხს, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენის ერის კეთილ დღეობისათვის დედათა განათლებას. ბოლოს მიჰმართა მასწავლებელ-ქალთ შემდეგის მოკლე სიტყვით: „უეჭველია ბევრი დაბრკოლება და უსიამოვნება შეგხვდებათ თქვენ, მაგრამ იქონიეთ სახეში, რომ თქვენი შრომა დიდი და მაღალი ნაყოფიერია. თქვენის ხელით უნდა დაედოს საძირკველი ხალხის იმ ზნეობა-სარწმუნოების აღზრდა-განათლების წმიდა საკურთხეველს, რომელზედაც უნდა აღმოშენდეს ტაძარი სიმართლისა და ჭეშმარიტებისა. თქვენ უნდა განამტკიცოთ ხალხში მცნებანი ჭეშმარიტის ქრისტიანობრივის სიყვარულისა და სიმართლისა. სადაც არა აქვს ადგილი ერთა შორის სიძულვილსა, შურსა და მტრობასა. ნუც ის დაგავიწყდებათ, რომ მხოლოდ ღვთის მცნება-სწავლაზედ დაფუძნებულს აღზრდას აქვს მკვიდრი ნიადაგი. ნაპერწკალი ამ ნაირის ღვთიურის ცეცხლისა გარდა იქმნება ჩირაღდნად, რომელიც შორს, შორს გაანათებს წყვდიადს ხალხის არე-მარისას.

სულით და გულით ვისურვებ წარმარმატებას თქვენთვის ამ კეთილ საქმეში.

ამის შემდეგ მოკლე, მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა მონასტრის დედათა სკოლის მასწავლებელმა-ქალმა სოფიო დავითის ასულმა ციციშვილისამ და ეს სთქვა დაახლოვებით:

„ხალხის ბრძნული ნათქვამია: სწავლა სინათლეა, უსწავლელობა სიბნელე; ვისაც ცოდნა არა აქვს—გასტანჯავს წუთი-სოფელიო“, დიაღაც ასეა. მთელის კაცობრიობის ცხოვრება დაუღალავი ბრძოლაა, ტანჯვაა, რომ როგორმე უკეთ მოაწყოს თავის ცხოვრება კაცმა. დასაცველად თავისა და თავისის ქონებისა, დასაკმაყოფილებლად ოჯახის მოთხოვნილებისა, კაცი მუდამ ებრძვის შიმშილს, სიცივეს, აღელვებულს წყალს, ცეცხლს, ქარ-ბუქს, სეტყვა-წვიმას და სხვა და სხ. დასძლევს ბუნებას ცხოვრებისათვის, ებრძვის კაცი კაცს, ოჯახი—ოჯახს, ერთი ერი მეორეს და სხვ. პირველს კაცს რომ ცოდნა არა ჰქონოდა, ცხოვრება დიდად გაუჭირდებოდა; იგი წყალში იჭერდა თევზს, ტყეში ნადირს, ფრინველს, ტანისამოსად ნადირის ტყავი ჰქონდა, ხორცს უმსა სჭამდა, რადგანაც არ იცოდა ცეცხლის ხმარება, თავისს მსგავს ადამიანს შესჭამდა და სხვ. ასეთი ძნელი და საშიშარი იყო პირველში ადამიანის ცხოვრება, მაგრამ თანდათან ადამიანმა გამოიგონა უფრო ადვილი სამუშაო იარაღი და ცოდნა-სწავლით იქამდინ განვითარდა, რომ ცხოვრება გაიადვილა. მტრობა ერთა შორის ცხოვრებისათვის თანდათან შესუსტდა. დღეს ქრისტიანულ სწავლა-განათლების მადლით იქამდე მივაღწიეთ, რომ ეკკლესიაში მუდამ ვლოცულობთ „სიმშვიდისათვის მთელის ქვეყნისა“, „საზოგადო კეთილ-დღეობისათვის“; „ერთა შორის სულიერ კავშირის დამყარებისათვის“ და სხვა.

მტკიცედ დარწმუნებულნი უნდა ვიყვნეთ, რომ დადგება ისეთი დროც, როდესაც დამყარდება ხალხთა შორის სიყვარული და სათნოება, როდესაც კაცი კაცისათვის მგელი-კი არა—ძმა იქმნება, ეროვნებისა და სარწმუნოების განურჩევლად.

ასეთს წმიდასა და მაღალ გრძნობას, რისაკვირველია, გაიგებს მხოლოდ ის, ვისაც ღვთაებრივი ნაპერწკალი უღვივის გულში, ვისაც განათლების მადლი მიუღია, ვისაც ესმის, თუ რა არის ზნეობრივი ქრისტიანული ცხოვრება და არა ის, რომელსაც მხოლოდ ნივთიერი მოგება და გაძღომა გაუხდია თაყვანის საცემელ კერპად. სიყვარული და განსაკუთრებით მტრის სიყვარული, ეს ხომ კიდევ ქრისტიანულად განათლებულის ღვთის კაცის ხვედრია!

„ჭეშმარიტი განათლება ის იარაღი და ღონეა, რომელიც გაუნათლებს ჭკვა-გონებას ადამიანს, განუწმედავს და განუსპეტაკებს გულს, დააკავშირებს ხალხს ურთიერთა შორის საერთო სასარგებლო მოქმედების და შრომისათვის. განათლება აღმოფხვრის ხალხთა შორის ყოველ ღვარძლს, მწიკვლსა და ავ-ზნეობასა. მოჰფინეთ ხალხს რაც შეიძლება მეტი ნათელი, და ნათელი იგი დაამყარებს მათ შორის სიყვარულსა და სათნოებას.“

ა. ნ.

## სტუდენტთა არეულობის შესახებ.

ოფიციალურ გაზეთ „Правит. Вѣст.“-ში დაბეჭდილია მთავრობის წერილი ამ ბოლოს დროს უნივერსიტეტებში მომხდარ არეულობის შესახებ. ნათქვამია, რომ ის ნაწილი სტუდენტებისა, რომელიც არეულობას მიემხრო მხოლოდ იმიტომ, რომ ამხანაგებისათვის მხარე დაეჭირა, დიდის თანაგრძნობითა და სიხარულით მიეგება უმაღლესს ბრძანებას. ამ ბრძანების წყალობით არეულობა მოისპო პეტერბურგის უნივერსიტეტში, მაგრამ შემდეგ, სხვა უმნიშვნელო მიზეზებისა და იმის გამო, რომ კიევის უნივერსიტეტის სტუდენტებმა წააქეზეს პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტები არეულობის მოსახდენად, არეულობა წინანდელთან შედარებით უფრო გამწვავდაო.

„წმ. ვლადიმერის უნივერსიტეტის სტუდენტთა საიდუმლო ორგანიზაციამ, რომელმაც კიევის საკავშირო საბჭოს სახელი მიითვისა,—ნათქვამია შემდეგ ამ წერილში,—3 მარტს მოწოდება დაუგზავნა სხვა უნივერსიტეტებს და ამ მოწოდებაში საყვედური გამოუცხადა პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტებს არეულობის მოსპობისათვის. ეს მოწოდება გაავრცელეს სტუდენტთა შორის დაახლოვებით 12 მარტს. ამ მოწოდების გავლენით 16 მარტს პეტერბურგის უნივერსიტეტის დარბაზში ყრილობა მოხდა სტუდენტებისა, რომელზედაც 1,000 სტუდენტი ძალად შევიდა. იქვე იყო პეტერბურგში მისული კიევის სტუდენტთა დელეგაციაც. ჩვიდმეტ მარტს ყრი-

---

ტარებს. უამისოდ სარწმუნოება სარწმუნოება-კი არ არის, სამოსელია, რომელსაც კაცი, როცა უნდა იხდის და როცა უნდა იცვამს. მიტომ არა გვგონია კეთილ-მორწმუნე სომხებს ეს ქება ბ-ნ გოლმსტრემისა სასიქადულოდ გაუხდეთ. სომხებს რაც გინდ დააბრალეთ, და ორგულობას სარწმუნოებისას-კი ვერავინ შესწამებს. პირიქით, მათ, თვისდა სასახელოდ, კარგად იციან ფასი თავისის სარწმუნოებისა და ამისათვის ულეველი ყოველ-გვარის უბედურებისა გულ-გაუტეხელად უტარებიათ და ჯვარ-ცმულან.

დასასრულ, ერთი ეს უნდა ვიკითხოთ: რა გაჭირება დასდგომია ბ-ნ გოლმსტრემს, რომ საცოდავი ქვებიც-კი უწამებია, შეუწუხებია პატივცემულნი მეცნიერნი და ჯანაბაში გადუკარგავს თვით მეცნიერებაცა. ეს ჩვენ არ ვიცით და არც დიდი სურვილი გვაქვს ვიცოდეთ. ჩვენ მარტო იმას ვკვირობთ, ჩვენ მარტო ის გვეოცება, რომ აქაც იგივე პროგრამმაა გამოჭიმული და დოინჯ შემოყრილი, რომელიც სომხთა მეცნიერთ მემკვიდრეობით დასჩემებიათ: სომხთა ბამბაც უნდა ჩხრიალებდეს და ქართველების არც კაკალი. ვიყვიროთო და ყვირილიც ეს არის. აბა სენკოვსკიდამ დაწყებული ბ-ნ გოლმსტრემამდე ამ სამოცის წლის მანძილზე ლარი გააბით და გახედეთ, თუ ყველა სომხთა მეცნიერს ამ ლარზე ხელი არ ეკიდოს, ერთსა და იმავე პროგრამმას არ ემსახურებოდეს საოცარის ერთ-გულობით და ერთ სულობით. ებღაუჭებიან ამ პროგრამმას კბილით, ხელით, ფეხით და მთელისა ცხოვრებითა მათითა. განა აშკარა არ არის, უნდათ ქვეყანას დაანახვონ, რომ სომეხზე უკეთესი, გამძლე ერი, ყოვლის ნიჭით და უნარით შემკობილი სხვა არავინ არის მცირე-აზიაში და ნამეტნავად ამიერ-კავკასიაში. მართალია, ამიერ-კავკასიაში ეს რაღაც „ვრაცები“ ჰყრიან და ცოტად თუ ბევრად ამათაც ახსენებენ, მაგრამ ასეთს საქმეს დავმართებთ, ასე გაუბიაბრუებთ სახელს, რომ სახსენებელიც-კი აღარ დარჩეთ. თუ ისტორია აქვთ, გავუყალბებთ, ან ჩვენ დავიჩემებთ, მიწა-წყალი აქვთ და ჩვენ ჩამოვართმევთ და ქვეყანას, ტყუილი იქმნება თუ მართალი, დავაჯერებთ, რომ ქართველობა გადაშენების გზაზეა შემდგარი და დღეს თუ ხვალე, ან ამოსწყდებიან დედა-ბუდიანად, ან გასომხდებიან.

ამ ჩვენს ლანძღვა-გინებაში, რასაკვირველია, ბ-ნს გოლმსტერმს არავითარი წილი არ უდევს და მადლობელნი ვართ, რომ შეგვიბრალა და ავად მაინც არ გვახსენა, სომხებს ზედ არ წაგვაკლა ქათამსავით სომხთა მეცნიერებისამებრ. ხოლო ძნელი მოსათმენნი არიან ეს ხუდაბაშოვები, პატკანოვები, ქიშმიშოვები, ეზოვები, არწრუნები და ერთობ იგი ერთი გუნდი სომხებისა, რომელთაც ღმერთმა მოახმაროთ თავიანთ თავის ქება-დიდება და ჩვენს მოთხრას კი—ნურას უკაცრავად,—ვერ შევარჩენთ, ვერ დავანებებთ და ამაში, იმედია, ყველა ჰკვათა-მყოფელი სომეხი დაგვეთანხმება. აი, სწორედ აქ არის თავი და ბოლო, დასაბამი და დასასრული იმ მწვავის განხეთქილებისა, რომელიც ასეთის გულმოდგინებით შთამოსთესეს ჩვენში უმეცართა მეცნიერთა და ერთმანეთზე აალურსეს ქართველი და სომეხი. ამათ, სწორედ ამ პირ-მოშვებულმა ფილოსოფოსებმა გაუფუჭეს გული ქართველებს სომხებზე და სომხებს ქართველებზე, თორემ სად იყო ჩვენში ამ ორმოცსამოცის წლის წინად ერთმანეთის ასეთი ათვალწუნება! ერთმანეთში არ ვირჩეოდით და თუმცა სხვა-და-სხვა მოდგმისანი და სარწმუნოებისანი ვიყავით, მაგრამ სომხობით ქართველის ძულებას და ქართველობით სომხებისას ჩვენში ადგილი არა ჰქონია ჩვენდა საერთო საბედნიეროდ და სასახელოდ და თუ დღეს ეს ურთიერთობა ასე შერყეულია, სომხთა მეცნიერთა გულ-ნამცეცობას, უვიცობას, ნაცარ-ქექიაობას და ოინბაზობას უნდა მიეწეროს. მარტო ერთი ბ-ნი ეზოვი საკმაოა, ადამიანი შეუშინდეს თავისს თავსა და სასოწარკვეთილებით ჰკითხოს: ნუ თუ ადამიანი მართლა ღვთის სახისა და მსგავსებისაა? ღმერთმა მოჰკითხოს ყველას მისნი შეცოდებანი და შეუნდოს, თუ ამისთანა საქციელი შესანდობარია.

თორემ ჩვენ სომხებისა არა გვშურსრა. ჩვენ კარგად ვიცით, რომ წინანდელ საქართველოს უძლურება დაიწყო იმ უბედურ დღეთაგან, როცა-კი პირ-ქვე დაემხო სომხეთი—ეგ ჩვენი წინანდელი ზღუდე სამხრეთით. ჩვენ ჩრდილოეთით ვინახავდით სომხეთს და სომხები ჩვენ გვინახავდნენ სამხრეთით. მას აქედ, რაც ვახტანგმა გორგასლანმა ჩრდილოეთით უშიშარ და უზრუნველ ჰყო მაშინდელი საქართველო, მთელი ჩვენი ისტორია მიიმართა იმაზე, რომ სამხრეთით გაგვემაგრებინა ჩვენი თავი. მინამ სომხეთი იყო, საქართველოს რომ თათრობა მოსვლოდა, ჯერ სომხეთი უნდა გადმოელახა. ამიტომაც ჩვენნი უდიდესნი მეფენი და სამეფოს კაცნი არაფერს არა ჰზოგავდნენ, რომ ეშველნათ სომხეთისათვის, როცა-კი გაუჭირდებოდათ. სამწუხაროდ, ზოგიერთს ჩვენს მეფეებს არ ესმოდათ—რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველებისათვის სომხეთის არსებობას. დაეცა სომხეთი და სამხრეთის კარი ღია დარჩა საქართველოში შემოსასვლელად. თუმცა სომხეთის დაცემის შემდეგ მთელი თითქმის შვიდი საუკუნე კიდევ მაინც გავუძელით ათასჯერ ჩვენზე ძლიერს მტრებსა, მაგრამ მთელი ჩვენი ისტორიული დღენი მოვლალეთ და შევალიეთ სამხრეთის კარის დაკეტას და ვერა გავაწყეთ-რა. ღონე-მიხდილმა და დაქანცულმა საქართველომ აიღო თავი და შეაფარა დიდ რუსეთის იმპერიას, მტერს არ დანებდა და მეგობართაკენ პირი ჰქმნა და გული მიიბრუნა. განა ჩვენთვის-კი სანატრელია ესეთი დაქსაქსულობა სომხებისა! ღმერთმა მიჰსცეთ ღონე და უნარი ერთად მოიყარონ თავი იქ, საიდამაც აყრილან და აქა-იქ გაფანტულან. ხოლო ჩვენ ჩვენსას ნუ გვეცილებიან, ჩვენის სახელის გატეხით ნუ სცდილობენ თავიანთის სახელის კეთებას და შემკობას.

ჩვენ, ბევრი გვქონდა, თუ ცოტა, შეგივრდომეთ, შემოგიხიზნეთ, გიძმეთ და შინ მტრად ნუ გვეკიდებით. „მტერისა შინა ყოლასა ლომისა გზაზედ წოლა სჯობია“. ასე იტყოდნენ ძველნი ქართველნი, ასე ვამბობთ ჩვენც, ასევე იტყვის ყოველი გონიერი სომეხი.

ილია ჭავჭავაძე

ლობაზედ მივიდა უნივერსიტეტი რექტორი, მაგრამ სტუდენტები სტვენით მიეგებნენ, რის გამოც იძულებული გახდა უკანვე გაბრუნებულიყო. ამ აგიტაციაში მეთაურობა ხელთ ჩაიგდო სტუდენტთა ერთმა ნაწილმა, რომელმაც საორგანიზაციო კომიტეტის სახელი მიითვისა. ამ კომიტეტმა 18 მარტიდგან ბილიუტენების გამოცემა დაიწყო, რომელშიაც აღნიშნული იყო არეულობის მსვლელობა. ამ არეულობის გამო 17 მარტს განკარგულება იქმნა მომხდარი ყველა სტუდენტების დათხოვნისა.

„რადგანაც უნივერსიტეტში თავის მოყრა აღარ შეეძლოთ, მეორე დღიდგან სტუდენტებმა ყრილობების მართვა დაიწყეს უნივერსიტეტის სასადილოში. ამ ყრილობებს ესწრებოდა 1,000 კაცი. 18 მარტს პირველად ამ ყრილობებზედ გაჩნდა მეტად თავხედი პროკლამაცია, რომელსაც ურთ-ერთ დამხმარებელ კასსის ბეჭედი ჰქონდა და რომელშიაც აღნიშნული იყო, რომ ეს მოძრაობა მთავრობის საწინააღმდეგოდ არის მიმართული და საჭირო ბრძოლა პოლიტიკურ ცვლილებათა შემოღების შესახებაო. ამ პროკლამაციის წაკითხვამ ბევრის სტუდენტის უკმაყოფილება გამოიწვია. ამ სტუდენტთ განაცხადეს, საორგანიზაციო კომიტეტი უპატიოსნოდ მოიქცა, რადგანაც საქმეს არა-სასურველი მიმართულება მისცაო. ამის გამო პროკლამაცია ვერ გავრცელდა.

„ამ პროკლამაციის გამო და აგრეთვე უწესოების მოსასპობად განკარგულება იქმნა მომხდარი მთავარ-აგიტატორებისა და ხელ მძღვანელთა დაპატიმრების შესახებ. 21 მარტს, ღამე, დაპატიმრებულ იქმნა 20 კაცი, ამასთან საორგანიზაციო კომიტეტის თითქმის ყველა წევრნი ერთის სტუდენტის სადგომში ჰნახეს. ეს სადგომი გაჩხრიკეს და იპოვეს ბიულიტენები და კომიტეტისა და კასსის მოწოდებანი, აგრეთვე მრავალი წერილი და შენიშვნა, რომელიც სტუდენტთა მოძრაობას შეეხებოდა. იმ სტუდენტის ქუდში, რომელიც 17 მარტის ყრილობას თავმჯდომარეობდა, იპოვნეს 2 ეგზემპლიარი რევოლიუციონურის, აღკრძალულის გაზეთის „Рабочая Мысль“-ის მე-4 ნომერისა და ერთი ეგზემპლიარი მე-5 ნომერისა. სხვა სტუდენტთა სადგომებში იპოვნეს წერილები კასსისა და კომიტეტისა, ყრილობებზედ მოწვევის ბარათები, კასსის ანგარიშები, სტუდენტთა მოძრაობის სასარგებლოდ შემოწირულებათა სიები და სხვანი. 24 მარტს, საღამოს, ერთის სტუდენტის ბინაზედ დაპატიმრებულ იქმნენ მეორე საორგანიზაციო კომიტეტის წევრები, რიცხვით 8 კაცი. ეს სტუდენტები გარეშემოუსხდნენ მაგიდას, რომელზედაც ეწყო კომიტეტის უკანასკნელი გამოცემანი და 127 ბილიუტენი. 29 მარტს შეიპყრეს მესამე კომიტეტის წევრები და რამდენიმე სხვა აგიტატორიც,“ სულ 16 კაცი.

„18 ყრილობები დაიწყო სატეხნოლოგო ინსტიტუტში; სატყეო ინსტიტუტში არეულობა დაიწყო 17 და 18 მარტს სამთო ინსტიტუტში.

არეულობანი მოსკოვის უნივერსიტეტისა და სხვა სასწავლებლების სტუდენტებ შორის დაიწყო თებერვლის ნახევარში, მაგრამ უნივერსიტეტისა და ადმინისტრაციის მიერ თავისს დროზედ მიღებულ ღონისძიებათა წყალობით ერთის თვის განმავლობაში სწავლის განგრძობა კიდევ შესაძლებელი შეიქმნა და სტუდენტები წრეს არ გადასულან. პირველ ხანს უფრო გატაცებულნი სცდილობდნენ არეულობა მოეხდინათ, მაგრამ უმრავლესობა წყნარად იყო. ამ სტუდენტების მოქმედებას როგორც უნივერსიტეტის მთავრობამ, აგრეთვე პოლიციამ ყურადღება მიაქცია. გადაწყვეტილ იქმნა დროებით დიდმარხვამდე 222 კაცი ადმინისტრატიულის წესით გაეგზავნათ თავიანთ საცხოვრებელს ადგილებში. თვისის მხრივ უნივერსიტეტის გამგეობამ გამორიცხა 2 და დაითხოვა 162 სტუდენტი, ამასთან დაადგინა იშუამდგომლოს განათლების მინისტრის წინაშე იმათ უკანვე მიღების შესახებ, რომ ადმინისტრაციის „წესით დათხოვნილი სტუდენტები, 16 გარდა, რომელთაც 1 წლის განმავლობაში მოსკოვში მოსვლა აღეკრძალათ, უკანვე მიღებულ იქმნენ!

(შემდეგი იქნება)

# რუსეთი

გზათა მინისტრი თავ. ხილკოვი ცირკულიარით შეეკითხა სახელმწიფო რკინის გზათა ყველა უფროსებს 24 აპრილამდის შეატყობინონ: არის თუ არა მათდამი რწმუნებულ რკინის გზებზე წიგნთ-საცავები, იგზავნება ამ წიგნთ-საცავებიდგან წიგნები და ჟურნალები სხვა სადგურებზე თუ არა, რამდენია გადასახადი, რამდენია უფასო, არსებობს თუ არა რკინის გზის მუშებისათვის საკვირაო სასწავლებლები, საღამოს კურსები და იმართება თუ არა კითხვები. ამავე ცირკულიარით სთხოვს შეატყობინონ რაც შეიძლება დაახლოვებითი სტატისტიკური ცნობები რკინის გზის მოხელეთა და მათ ცხოვრების შესახებ, მაგალითად, ყველას აქვს თუ არა თავისი საკუთარი ოთახი, არსებობენ თუ არა აბანოები, საზოგადო სასადილო ოთახები, საძილო ოთახები, სამკითხველოები კონდუქტორებისა და სხვა. ყველა ამას ამიტომ თხოულობენო დასძენს გაზ. „Сынъ От.“, რომ აზრათა აქვთ რკინის გზის დაბალ მოხელეთა ნივთიერი მდგომარეობა გააუმჯობესონო.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** „ფიგაროში“ უკვე დაიბეჭდა ჩვენებანი გენერალის გალიფესი, კაზიმირ პერიესი, ლარუშისა, როჟანისა, ლონკლუისა, პენლევესი და გადამარისა. განსაკუთრებით საყურადღებოა ჩვენებანი გალიფესი, ლარუშისა და 1894 წელს, დრეიფუსის გასამართლების დროს, საფრანგეთის პრეზიდენტად ნამყოფის კაზიმირ პერიესი. სასამართლოს თავმჯდომარეს უკითხნია პერიესათვის: დრეიფუსის საქმე პირველად როდის შეიტყეთ, მაშინ ხომ არა, როდესაც დააპატიმრეს დრეიფუსი და გამოძიება დანიშნეს? ნამდვილად არ მახსოვს, მაგრამ მგონი მაშინ,—უთქვამს პერიეს. შემდეგ პერიეს ბევრი ულაპარაკნია და ყველაფერი დაწვრილებით უამბნია, როდის რა გაიგო დრეიფუსისა, იმის გასამართლების, დაპატიმრების და სხვათა შესახებ.

მოწმე გენერალთა შორის ერთად-ერთი გენერალი აღმოჩნდა, რომელსაც პიკარი უქია და კარგ კაცად მოუხსენებია. ეს გენერალი გალიფეა. დანარჩენ გენერლებსკი უძაგებიათ. გალიფეს უთქვამს, რომ პიკარი მთელი ხუთი წლიწადი მსახურებდა ჩემ ხელ-ქვეით და ამ ხნის განმავლობაში ულეველთვის დაუღალავად შრომობდა. პიკარი მეტად პატიოსანი და მართალი კაცია. ესევე განვაცხადე პიკარის შესახებ სამხედრო სასამართლოშიაც, თუმცა ზოგიერთმა გენერლებმა მთხოვეს,—მხარს ნუ დაუჭერ პიკარსაო. „1898 წელს, უამბნია შემდეგ გალიფეს, ჩემთან მოვიდა ინგლისელი გენერალი ტალბოტი, რომელიც 6 წლიწადი საფრანგეთში ინგლისის სამხედრო აგენტად იყო და მითხრა: „მალიან გაკვირვებული ვარ, გენერალო, თქვენი საქმეების გამო. არაფერს ვიტყვი დრეიფუსის შესახებ, მაგრამ მაკვირვებს და ვერ გამიგია, რას უყურებს თქვენი მთავრობა და არ აპატიმრებს ესტერგაზის. ჩვენ, უცხო ქვეყნის სამხედრო აგენტებმა, კარგად ვიცით, რა ვაჟბატონია ეგ ესტერგაზი. ისიც კარგად ვიცით, რომ 2 ან 3 ათას ფრანკის გულისათვის ესტერგაზს რა ცნობასაც გინდოდა მოგვატანინებდით სამხედრო სამინისტროდგან“. შემდეგ გალიფეს უთქვამს, სამხედრო მინისტრმაც-კი იცოდა, რომ ესტერგაზის უცხო-ქვეყნის აგენტებთან დიდი მისვლა-მოსვლა ჰქონდაო დასასრულ გენერალს უთქვამს, დიდად გაკვირვებული ვარ, რომ პიკარს სხვა-და-სხვა დანაშაულობის ბრალსა სდებენ და ამის გულისათვის დააპატიმრესო.

—დიდი ლაპარაკი გამოუწვევია პარიჟში ერთის ფელდფებლის, გვარად ლორიმიეს, თავისს მოკვლას. ეს ფელდფებელი სიცოცხლის დროს პოლკოვნიკს ანრის მდივნად ჰყოლია თურმე და თავი ლორიმიეს მაშინ მოუკლავს, როდესაც პარიჟიდგან დეპეშით სამხედრო სამინისტროს დაუბარებია. საკვირველი აქ ის არის, რომ ანრის თავის მოკვლის შემდეგ ლორიმიესთვის პენსია დაუნიშნიათ თურმე. ზოგიერთი გაზეთი დაბეჯითებით ამბობს, რომ ლორიმიე ანრის იარაღი იყო, პენსია დაუნიშნეს, რათა ჩაეჩუმებინათ და ყველა ის არ გაემჟღავნებინა, რაც ანრიმა და იმასთან ერთად სხვა აფიცრებმაც ჩაიდინესო.

## დამჯერდი

თუ სიცოცხლე გამძღარა,
დგას განჯარი დოგსა წინა.

როსტომიანი

* * *

ვითარცა ჯეჯილი აღორძინდებოდა, ჯერ არს მას ჟამსა კაცმან ჰპოვოს მდელო ანუ შამბი და გამარგლოს, ხოლო უკეთუ მაშინ არა განიწმიდა, შეიშთობის ეკალთაგან.

სულხან საბა

* * *

გვნათობდი არა ცეცინათელასავით, არამედ ვითარცა სანთელი სწორად და მუდმივად.

ლასურიძე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან
(ამოკრებილი ამბები)

ინგლისელი ექიმი გავილანდი რამდენიმე წელიწადია თურმე, რაც ერთგვარ ავადმყოფობის, რომელსაც ჩვენებურად „კუს“ ეძახიან, შესწავლას შეუდგა. ამას გარდა გავილანდს მრავალი სტატისტიკური ცნობები შეუკრებია ამ ავადმყოფობის შესახებ. დღემდის ეგონათ, რომ ამ ავადმყოფობის გაჩენას, გაძლიერება-შესუსტებას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ამა თუ იმ ადგილ-მდებარეობასთან, ჰავასთან და სხვა. ამ ავადმყოფობას ყველგან ერთნაირად შეუძლიან გაჩენა და გაძლიერებაო. დღეს-კი გავილანდი ამტკიცებს, რომ ჰავასა და ადგილ-მდებარეობას დიდი გავლენა აქვს ამ ავადმყოფობაზედაო. ზოგი ადგილი და ჰავა ხელს უწყობს იმის გაჩენასა და გაძლიერებას, ზოგი-კი—აბრკოლებს და აფერხებსო. „ყველა ქვეყანაში მოიპოვება,—ამბობს ინგლისელი ექიმი,—ისეთი კუთხე და ადგილი, რომელიც ამ ავადმყოფობის ბუდეს წარმოადგენს. ზოგიერთ ქალაქში ისეთი ქუჩებიც-კი არის, სადაც ეს ავადმყოფობა უფრო ადვილად ჩნდება და ძლიერდება, ვიდრე იმავე ქალაქის სხვა ქუჩებში“—ეს კიდევ არაფერი, გავილანდი ამტკიცებს. რომ „კუსაც“ თავისი ბაცილები აქვს და ეს ავადმყოფობა ამ ბაცილებისაგან ჩნდებაო. ამ ავადმყოფობის ბაცილა უმეტეს ნაწილად ბუდობს დაბალს, ნოტიო ადგილებში, ისეთის მდინარეების ნაპირებზედ, რომელნიც წყალ-დიდობის დროს კალაპოტიდგან ამოდიან ხოლმე. შვეიცარიაში არის ისეთი სოფლები, სადაც 70% მცხოვრებლებისა ამ ავადმყოფობის წყალობით ესალმება წუთი-სოფელსაო.

* * *

ყველაზედ უძველეს გაზეთად მთელ დედამიწის ზურგზედ ამ ჟამად ითვლება ჩინური გაზეთი „ძინგ-რაო“. ეს გაზეთი ჩინეთის სატახტო ქალაქ პეკინში იბეჭდება. სრული თოთხმეტი საუკუნე (1400 წელიწადი) იქმნება, რაც „ძინგ-რაო“ არსებობს. მეორე ჩინური გაზეთი,—„კინ-პანი“ თერთმეტი საუკუნეა, რაც იბეჭდება. „კინ-პანი“ წინად თვეში ერთხელ გამოდიოდა, შემდეგ კვირაში ერთხელ, 1830 წლიდგან—დღეში ერთხელ, ხოლო ამ ჟამად დღეში სამჯერ: დილით, შუადღისას და საღამოთი; ამასთან ეს გაზეთი დილით ყვითელ ფერის ქაღალდზედ იბეჭდება, შუადღისას თეთრზედ, ხოლო საღამოთი—ვარდის ფერ ქაღალდზედ. პირველ ხანს, მრავალის საუკუნის განმავლობაში, ამ გაზეთის ფურცლებზედ იბეჭდებოდა მხოლოდ მთავრობის განკარგულებანი და საკალენდარო და სამეტეოროლოგიო ცნობანი, ამ ჟამად-კი სხვა ამბებსაც შეხვდებით, როგორც მაგალითად, საეკკლესიო დღესასწაულების და სხვა და სხვა ცერემონიების აღწერას. წვრილ-წვრილ მოთხრობებს, ლექსებს, ზღაპრებს, ლეგენდებს. ხშირად პოლიტიკური წერილებიც იბეჭდება ხოლმე ამ გაზეთში.

## შემოწირულება

ჩვენ მივიღეთ ქ. ბაქოდგან ბ-ნ თ. ბარამიძისაგან ერთი თუმანი მცხეთის ტაძრის განსაახლებელ ფონდის სასარგებლოდ.

# დეპეშა
(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

6 აპრილი

**პარიჟი.** ლუბემ შვეციის მეფის პატივ-საცემად სადილი გამართა, რომელზედაც მიწვეული იყო 70 კაცი.

სამასმა მუშამ, რომელნიც რკინის გზაზედ მსახურებდნენ, პირი შეჰკრეს და მუშაობაზედ ხელი აიღეს. მუშები სამუშაო ფასის მომატებას თხოულობენ.

**პარიჟი.** პიკარი შემდეგ ჩვენებაში ამტკიცებს, რომ გონზი და ანრი ერთად სცდილობდნენ ყალბის საბუთის ქაღალდის გადაცემას სამინისტროში, იმ ქაღალდისას, რომელიც ანრიმ შეთხზაო. იგი ამტკიცებს, რომ ის ცნობები, რაც „ბორდეროში“ა, სხვა აფიცერთაც შეეძლოთ შეეძინათო.

**სტოკჰოლმი.** მარტინი დეპეშით ატყობინებს ნორდენშილდს კრასნოიარსკიდგან: „ციმბირის ტაიგაში ვიყავი. გზები გაუვალია. არც-ერთი ტუნგუზი არ შემხვედრია. პირველი ხმა ანდრეს შესახებ დამყარებულ იქმნა ქვა-მაღაროს პატრონის, იაკოვლევის ხუმრობაზედ. ლიალინმა დეპეშა მხოლოდ მაშინ გაგზავნა, როდესაც „ენისეის“ რედაქტორმა იაკოვლევის წერილის შინაარსი გადასცა. დღეს უკანვე მივდივარ“.

**პარიჟი.** ხასიათის გამასწორებელმა სასამართლომ დაიწყო დღეს ლიგათა შესახებ საქმეების განხილვა. დაბარებულ იქმნენ დიუკლო, გრიმო და სხვანი.

7 აპრილი.

**ხაბაროვსკი.** პეკინიდგან იუწყებიან, რომ იმპერატრიცას აზრადა აქვს მთელ იმპერიაში მთავარ მოხელეებად მანჯურელები დანიშნოსო.

**რეტიმნო.** კვირას ადმირალმა სკრიდლოვმა, ჯარისა, სამღვდელოებისა, მოსწავლეთა და ხალხის თანადასწრებით, დაურიგა ხელმწიფე იმპერატორის მიერ ნაბოძები მედალები „გულ მოდგინეობისათვის“ ზედ წარწერით იმ 17 მაჰმადიანს, რომელთაც 6 სექტემბერს დახმარება აღმოუჩინეს ჯავშნიან გემის „იმპერატორ ალექსანდრ“-ის ერთ ნავს, რომელიც ღელვისაგან ზღვაში იქმნა გადაბრუნებული. ამ საჩუქარს მთელის ქალაქის მაჰმადიანნი სიხარულით მიეგებნენ.

ოფიციალურ დეპეშით იუწყებიან, რომ კუნძულ გვადელუპის ქალაქ პუნტ-ა-პიტრეში ცეცხლისაგან განადგურებულ იქმნა 500 სახლი. ცეცხლი ჯერ ვერ ჩაუქრიათ. ჰფიქრობენ, რომ ცეცხლი ბოროტ განმზრახველთ წაუკიდესო.

**ვენა.** იმპერატორმა უბოძა სპარსეთის პრინცს ორდენი ლეოპოლდისა 1 ხარისხისა. დღეს პრინცი სადილად იმპერატორთან იყო.


# განცხადებანი

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამითი აცხადებს, რომ 10 ამა აპრილს, ნაშუადღევის პირველს საათზედ, მისს სადგომში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რათა იჯარით გაიცეს შეშისა და ხე-ტყის მასალის საწყობად ქალაქის მიწა, რომელიც ტფილისის პოლიციის მეათე ნაწილში მდებარეობს ახალ დამოქნის პირდაპირ, და ზომით 600 ოთხ-კუთხი საჟენია, საიჯარო პირობათა შეტყობა შეიძლება ქალაქის გამგეობაში ყოველ დღე, კვირა-უქმე დღეებს გარდა. 3—6.—2)


Дозволено цензурою, Тифлисъ 7-го Апрѣля 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.